სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ფლევის საჯარო სკოლის ავარიული შენობის დემონტაჟის პროექტი

შეთანხმებულია :

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

გიორგი გურასპაშვილი /_____/

2017 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტი

მშენებლობის ობიექტების (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობისა) **მშენებლობის სანებართვო მოწმობა**

დემონტაჟის ნებართვა N 12

ნებართვის გაცემის თარიღი: 22.03.2017 წ

ნებართვა ძალაშია: 22.03.2018 წ

ნებართვის ვადის დინების დაწყების თარიღი: 26.03.2017 წ

დამკვეთი: სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლა;

ობიექტის მისამართი: ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფლევი;

საკადასტრო კოდი: 69.05.55.007;

სადემონტაჟო ობიექტი: სკოლის ამორტიზებული შენობა;

შენობა–ნაგებობის კლასი: მე-3 კლასი.

დემონტაჟის განხორციელების (ზედამხედველობის) ეტაპები

1. ტერიტორიის შემოღობვა;
2. სახურავის დემონტაჟი;
3. პირველი სართულის რკინა-ბეტონის და კედლების დემონტაჟი;
4. საძირკვლის დემონტაჟი;
5. ნარჩენების გატანა და ტერიტორიის დასუფთავება.

კლასის შესაბამისი სანებართვო პირობები:

ა) აწარმოოს დემონტაჟი ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

ბ) აწარმოოს დემონტაჟი პროექტით განსაზრვრული პირობების დარღვევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა;

დ) უზრუნველყოს სამშენებლო ნარჩენებისგან მოედნის გაწმენდა.

ე) სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული დემონტაჟის ყოველი ეტაპების დასრულების შემდეგ შეადგინოს ოქმები და წარადგინოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

გიორგი გურასპაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება

KA990103051405317

№ 1006

22 / მარტი / 2017 წ.

სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული ამორტიზებული შენობის დემონტაჟის პროექტის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57-ე დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ამავე დადგენილების 72-ე მუხლის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის N 30 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების მიერ მომზადებული მასალების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეთანხმებულად ჩაითვალოს, სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლის (დირექტორი ზურაბ ლომიძე) სარგებლობაში არსებული ამორტიზებული შენობის (მდებარე ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ფლევი, საკადასტრო კოდი 69.05.55.007, მესაკუთრე სახელმწიფო) დემონტაჟის პროექტი და გაიცეს ნებართვა.

2. ბრძანება ეცნობოს სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის დირექტორს;

3. ბრძანება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილებას;

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება უზრუნველყოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურმა;

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. N15).

გამგებელი

გიორგი გურასპაშვილი

		თარიღი: 2017 წლის 17 მა, ხარისხული	
გადამხდელის დასახელება:	ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლა		თანხა სიტყვიერად
		ანგარიში (დებეტი): GE98LB0121139296830000	
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკის კოდი: LBRTGE22	ექვსას ოთხმოცდაცხრა GEL და 00
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლა		
საიდენტიფიკაციო კოდი:	243876025	საბიუჯეტო შემოსავლის კოდი: 300463090 ხაშური - მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვ	
			ბანკის აღნიშვნები
მიმღების დასახელება:	ხაზინის ერთიანი ანგარიში		ბანკში შემოსვლის თარიღი: 17.03.2017
საიდენტიფიკაციო კოდი:		ანგარიში (კრედიტი): 200122900	
მიმღების ბანკი:	სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი: TRESGE22	
გადახდის დანიშნულება:	მოსაკრებელი შენობის დემონტაჟისთვის		ხელმოწერა:
ხელმოწერა:			

ლიბერთი ბანკი LB LIBERTY BANK

LBRTGE22

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 69.05.55.007

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882015623558 - 02/11/2015 12:42:14

მომზადების თარიღი
06/11/2015 09:28:54

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ხაშური	ფლევი		
69	**05**	**55**	**007**

მისამართი: რაიონი ხაშური , სოფელი ფლევი

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 6798.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **69.05.12.123;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა ნაგებობა N1 საერთო ფართი 574.1 კვ.მ, შენობა N2 93.2 კვ.მ შენობა N3 67.2 კვ.მ შენობა N4 34.4 კვ.მ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 692004000702 , თარიღი 18/05/2004

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- განკარგულება N14 , დამოწმების თარიღი:15/01/2004 , ხაშურის რაიონის გამგებელი

მესაკუთრეები:
სახელმწიფო

მესაკუთრე:
სახელმწიფო

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015623558 თარიღი 02/11/2015 12:42:14	**მოსარგებლე: სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლა; მესაკუთრე: სახელმწიფო;** საგანი:მიწის ნაკვეთი 6798კვ.მ, შენობა N1 საერთო ფართი 574.1კვ.მ შენობა N2 93.2კვ.მ N3 67.2კვ.მ N4 34.4კვ.მ; არსებობის ვადით;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/11/2015	**მომართვა,რეესტრის ნომერი N11/60547, დამოწმების თარიღი13/10/2015, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *69 05 55 007*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011182884
მიწის ნაკვეთის ფართობი: *6798* კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო

მომზადების თარიღი: 20.04.11



01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
ვალდებულება
მშენებარე ნაგებობა
ხაზობრივი ნაგებობა
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
www.napr.gov.ge

სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტო

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ფლევის

საჯარო სკოლის შენობის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2017 წელი

სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ფლევის საჯარო სკოლის შენობის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფროსი მ. ჭონიაშვილი

ორგანიზაციის პროექტის ავტორი ტ. სტურუა

თბილისი 2017 წელი

შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

‘ა)განმარტებითი ბარათი

I.შესავალი

II.სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III.სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV.სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

V.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VI.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII.უსაფრთხოების ტექნიკა

VIII.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „მო-1“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“; „სადემონტაჟო სქემა“

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ფლევის საჯარო სკოლის შენობის დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ.

წინამდებარე „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების(სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1.სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“

2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“

3. სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“

4. ტექნიკური რეგლამენტი „ მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სნდაწ 3.01.01-85*-ის მოთხოვნის თანახმად დემონტაჟის შემსრულებელმა ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს დამუშავება. აკრძალულია დემონტაჟის დაწყება დამტკიცებული „სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე.

დამკვეთის მიერ აუცილებლად უნდა განხორციელდეს ტექნიკური ზედამხედველობა სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ფლევის საჯარო სკოლის შენობა, გაბარიტული ზომებით ღერძებში 36.2x23.5 მ, შედგება გასული საუკუნის 50-იან წლებში აშენებული ცენტრალური ნაწილისგან და მის ტორსულ კედლებთან 1966 წელს მიშენებული მარჯვენა და მარცხენა ფლიგელებისგან.

შენობა არის ერთსართულიანი. შენობის და ფლიგელების კედლები წითელი აგურითაა ნაშენი. ცენტრალურ ნაწილს და მარჯვენა ფლიგელსგააჩნიათ სარდაფი. შენობის ცენტრალური ნაწილის გადახურვა და დახურვა ხისაა. ფლიგელები დახურულია ანაკრები რ/ბ ღრუტანიანი ფილებით. მარჯვენა ფლიგელის სარდაფის გადახურვა ხისაა. სკოლის სახურავი დაფარულია აზბესტცემენტის შიფერით. 2005 წელს მარჯვენა ფლიგელის საძირკვლები გამაგრდა, მოიჭიმა კედლები და ლითონის კონსტრუქციით გამაგედა ღრუტანიანი ფილები.
სკოლის შენობის მზიდი კედლები და ტიხრები მასიურად დეფორმირებული და დაბზარულია. მარჯვენა ფლიგელში ტორსული კედელი გადაწეულია თავდაპირველი სიბრტყიდან. მარცხენა ფლიგელში ბზარების გახსნა ამჟამადაც გრძელდება. კედლების დეფორმაციის და დაბზარვის მიზეზი საძირკვლების არათანაბარი ჯდენაა.

სოფელ ფლევის საჯარო სკოლის შენობის აღდგენა არარენტაბელურია და ის ექვემდებარება დემონტაჟს.

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ფლევის საჯარო სკოლის შენობის დემონტაჟის ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 3 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა-0,3 თვე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ფლევის საჯარო სკოლის შენობის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

პირველი რიგი-მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე რიგი-დემონტაჟის ძირითადი სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:
1)დროებითი აღნიშვნების მოწყობა გოსტ 23407-78-ის თანახმად კონტურსგარეთა სახიფათო ზონის საზღვარზე და სადემონტაჟო მოედნის შემოღობვა(პოტენციური სახიფათო ზონის საზღვარზე).

2)დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა.

3)შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან.

4)მტვრისგან და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებების განხორციელება.

5)სახიფათო ზონების შემოღობვა; ამკრძალავი, გამაფრთხილებელი ნიშნების და სიგნალების მოწყობა.

6) დროებითი სასაწყობო მოედნების მომზადება

ძირითად პერიოდში ხორციელდება სკოლის შენობის სადემონტაჟო სამუშაოები შემდეგ ეტაპებად:

I ეტაპი -სახურავის და სხვენის დემონტაჟი

II ეტაპი - ცენტრალური ნაწილის დემონტაჟი

III ეტაპი- მარჯვენა და მარცხენა ფლიგელების დემონტაჟი

IV ეტაპი - საძირკვლების დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ , „სახურავიდან-საძირკვლების ჩათვლით“, ელემენტური დაშლისა და გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის მეთოდებით, დემონტაჟის ტექნოლოგიის შესაბამისად.

სადემონტაჟო სართულზე სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა)კომუნიკაციების,იატაკების,შეკიდული ჭერების დემონტაჟი

ბ)ტიხრების,კარებებისა და ფანჯრების დემონტაჟი

გ)მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი სართულზე სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა)გადახურვის კონსტრუქციების (ხე, ფილა) და კიბის დემონტაჟი

ბ)მზიდი კედლების დემონტაჟი

I სართულის მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟის შემდეგ შენობის მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟის ბოლო ეტაპი არის საძირკვლების დემონტაჟი.

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

შენობის სადემონტაჟო სამუშოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან ყველა შიგა კომუნიკაცია (დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა).

გადახურვის მზიდი კონსტრუქციების (ხე, ფილა) დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა, განლაგება და მაქსიმალური წონა. მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული დემონტაჟის დაწყება

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ ანუ „სახურავიდან-საძირკვლების ჩათვლით“ .

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს.

სამუშაოთა წარმოების პროექტში დამუშავდეს ხის და ანაკრები რ/ბ ფილების კონსტრუქციების ელემენტური დაშლის დეტალური მეთოდები და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა. სართულზე პირველ რიგში დემონტირებული იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კონსტრუქციები დემონტაჟის ტექნოლოგიის სრული დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგნაირად:

საინჟინრო ქსელების დაშლის დროს ხდება მათი დანაწევრება დაჭრით. შეერთებების დაშლა შესაძლებელია ხელის ჩაქუჩებით.

იატაკების დემონტაჟი უნდა მოხდეს ელემენტურად ხელით, მცირე მექანიზაციისა და ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით.

კარებების,ფანჯრების,სახურავის დემონტაჟი ხორციელდება ხელით,ელემენტური დაშლით.

მზიდი კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი ხორციელდება ორი მეთოდით:

1)ელემენტური დაშლის გზით-მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალის კედლების და ტიხრების დემონტაჟი

2)გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის გზით- მეორადი გამოყენებისთვის უვარგისი მასალის კედლების და ტიხრების დემონტაჟი.

აკრძალულია კედლების და ტიხრების დანგრევა პირდაპირი მონგრევის გზით.

საძირკვლების მონგრევა ხორციელდება ხელით, პნევმატური სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით.

გადახურვის ანაკრები კონსტრუქციების (ხე, ფილა) დემონტაჟი ხორციელდება ელემენტური დაშლის მეთოდით, დემონტაჟის ტექნოლოგიის სრული დაცვის გზით.

სამშენებლო ნაგვის აღება ხორციელდება ექსკავატორით ჩამჩის ტევადობით 0,5მ^3. ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით.

ობიექტის მეპატრონის გადაწყვეტილების შემთხვევაში მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალები,დეტალები და კონსტრუქციები დასაწყობდება დროებით სასაწყობო მოედნებზე.

სკოლის შენობის სადემონტაჟო სამუშაოები (ანაკრები ხის და რ/ბ კონსტრუქციების დემონტაჟი;კედლების და ტიხრების გამსხვილებული ბლოკების დემონტაჟი;მძიმე დეტალებისა და ნაკეთობების დემონტაჟი;ვარგისი მასალების ჩამოღება;სამშენებლო ნაგვის ჩამოღება და სხვ.) ხორციელდება საავტომობილო ამწის გამოყენებით, ტვირთამწეობით 16 ტნ.

VI.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

სკოლის შენობის სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. საავტომობილო ამწე, ტვირთამწეობით 16ტნ. -1 ცალი
2. ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობით 0,5მ^3-1ცალი
3. მოძრავი კომპრესორი-1ცალი
4. ავტოთვითმცლელები-1ცალი
5. ბორტული ავტომანქანა-1ცალი
6. ავტოდამტვირთავი-1ცალი
7. სპეციალიზებული ტრანსპორტი -1ცალი

დემონტაჟისათვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები-2კომპლექტი
2. პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები-2ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქუჩები-2ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი-2ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები-50მ^2

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით,ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები და უსაფრთხოების ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა კომუნიკაციები(დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა) უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

ხის და რ/ბეტონის ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები,განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო კონტურსგარეთა ზონების საზღვრები სადემონტაჟო შენობის კონტურიდან შეადგენს 4,0 მეტრს.

დროებითი შემოღობვის მოწყობის საკითხები დეტალურად გადაწყდეს უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ. სადემონტაჟო მოედანი შემოიღობოს დროებითი ღობით.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სადემონტაჟო მოედნის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონებში.

დემონტაჟის სახიფათო ზონების მოცემული რადიუსი დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტში ან ადგილზე უშუალოდ

სამუშაოთა დაწყების წინ. კონტურსგარეთა სახიფათო ზონების საზღვრები აღინიშნოს კარგად დასანახი ნიშნებით და მოექცეს დროებითი ღობის კონტურში.

ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით(უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელები, რეზინის ხელთათმანები,ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების,რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ,გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს. სამუშაოები უნდა სწარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით ნაგავსაყრელზე. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.

სადემონტაჟო გეგმა 1:1000



სადემონტაჟო სქემა



ამწის სამოძრაო ღერძი და
ღია სასაწყობო მოედნის
მონყობა დაზუსტდეს ადგილზე.
არსებული ხეების და მწვანე
ნარგავების შენარჩუნებით.

ტექნიკური აღნიშვნები:

1. წინამდებარე ნახაზი „ДОП-I" ფორმატის ბანერკატებით ბარათითან ერთად.
2. წინამდებარე გეგმებმა დაფუძნებულია სრული სადემონტაჟო ძველი შენობის მეთოდზეა ნაჯილის ფოტოსურათების ეპირიულებიანებზე.
3. სრული ძველი შენობის ფიზიკურად ხორციელდება საავტომობილო ამწის (ტონაჟამდენობით 16 ტ) დახმარებით, საფუძვლის ჭაბურღილის ამწე მოძრაობს შენობის ბარათის ფარგლებ, კონტეინერ ბასეინის, მიმეორე შენიშვნასან 5 მეტრზე.
4. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების ფიზიკური ფიზიკურია ბანერკატებით ბარათით.
5. ფიზიკურატის სახიფათო ზონების საზღვრები დაზუსტდეს ადგილზე.
6. სახიფათო ზონის ფარგლებში მუშაობა ნებადართულია ლუბით შენიშვნებლის საკითხი დაზუსტდეს ადგილზე.
7. სადემონტაჟო სამუშაოების ტექნოლოგიური რეგლამენტია მოცემულია სამუშაოების წარმოების კალენდარულ გეგმაში.
8. ფილია სადემონტაჟო სამუშაო ეფუძ შესრულდეს სნრაკ-III-4-80*-ის მოთხოვნების შესაბამისად.

პიროგანი აღნიშვნები:

- სრული სადემონტაჟო შენობა
- სრული ეზოს ღობე (საკადასტრო ნაზი)
- ღია სასაწყობო მოედანი
- ფოროვანი შენობები
- საავტომობილო ამწე
- ამწის სრული ღერძი
- ამწის ძირითა ფეხები
- ფოროვანი ღობე
- სახიფათო ზონის საზღვარი (პუტენციური)
- P კონტეინერების სახიფათო ზონის საზღვარი

ობიექტი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ფლევის საჯარო სკოლის ეზოს დემონტაჟი		მიე: საინჟინერიო და სამეთვალყურეო ინჟინერიული ბიუროს 2. კოსტავა 1, ბინა 2 0160 +995 32 2 200 220, 2 200 221, www.[illegible]	ნახაზის დასახელება სადემონტაჟო გეგმა სადემონტაჟო სქემა	ინჟინერი-კონსულტანტი სახელმწიფო ეზოსი მ. ბერიაშვილი ფასადები ტარიელ ხუციშვილი
			ნახაზის ნომერი ტექნიკური დოკუმენტაცია სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი	მასშტაბი 1:1000 ნახაზის კოდი-I ფურცლ. №1 სულ ფურცლ. 1 ნახაზის ფორმა

VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ფლევის საჯარო სკოლის შენობის დემონტაჟი

დემონტაჟის ხანგრძლივობა- 3 თვე

№	სადემონტაჟო სამუშაოთა დასახელება	ხანგრძ ლივობა (თვე)	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი		
			თვეები		
			I	II	III
1	2	3	4	5	6
	I.მოსამზადებელი სამუშაოები				
1	დროებითი ღობის მოწყობა; დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა	0.3			
2	დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა; გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების მოწყობა	0.3			
3	შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან. მტვრისა და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებები	0.3			
	II.სადემონტაჟო სამუშაოები (შენობა) :				
4	სახურავის და სხვენის დემონტაჟი	0.5			
5	ცენტრალური ნაწილის დემონტაჟი	0.8			
6	მარჯვენა და მარცხენა ფლიგელების დემონტაჟი	0.9			
7	საძირკვლების დემონტაჟი	0.5			
8	მეორადი გამოყენების ელემენტების გატანა მოედნიდან	2.0			
9	სამშენებლო ნარჩენების გატანა მოედნიდან	2.0			